საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქი ფოთი

№ **04/1322**

18 / სექტემბერი / 2020 წ.

KA000068333565520

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID- 19) გავრცელების პრევენციის მიზნით დამატებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის № 529 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N 322 დადგენილების "იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ", საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის № 01-149/ო ბრძანების "სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე", ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 მარტის N04/433 ბრძანების " ახალი კორონავირუსის (COVID- 1 9) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმინობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციებში საქმიანობის დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე", საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების, საჯარო სამსახურის ბიუროს 2020 წლის 11 სექტემბრის (რეგისტრაციის N01/7921) რეკომენდაციის "უფლებამოსილებების განხორციელების დისტანციურ რეჟიმში შენარჩუნების შესახებ" საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციებში შესაბამისი ღონისძიებების დამატებით გატარების მიზნით, დაევალოთ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ: „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის № 529 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N 322 დადგენილების "იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ", საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის № 01-149/ო ბრძანების "სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე", ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 მარტის N04/433 ბრძანების " ახალი კორონავირუსის (COVID- 1 9) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმინობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციებში საქმიანობის დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე", საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების, საჯარო სამსახურის ბიუროს 2020 წლის 11 სექტემბრის (რეგისტრაციის N01/7921) რეკომენდაციის "უფლებამოსილებების განხორციელების დისტანციურ რეჟიმში შენარჩუნების შესახებ" შესაბამისად, ზემოაღნიშნული

სამართლებრივი აქტებით, გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და რეკომენდაციების დაცვა.

2. დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს კონტროლზე აიყვანონ ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება.

3. დაევალოთ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული რეკომენდაციების დაცვით, უზრუნველყონ შესაბამისი ღონისძიებების გატარება თანამშრომელთა დისტანციური მუშაობის უზრუნველსაყოფად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონკრეტული ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელია სამსახურში გამოცხადება;
3.1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული რეკომენდაციების დაცვით, მერიის სტრუქტურული ერთეულების გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, მერთან შეთანხმებით განსაზღვრონ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და ასევე, დისტანციურად მომუშავე თანამშრომელთა გრაფიკი.
3.2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ განახორციელოს სამუშაო საათებში, დისტანცურ რეჟიმში მომუშავე თანამშრომელთა მონიტორინგი სატელეფონო ან/და ვიდეო-ზარის მეშვეობით.
3.3. დისტანცურ რეჟიმში მომუშავე თანამშრომლებმა დაიცვან დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ გატარდება დისციპლინური ღონისძიებები.
4. დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს კონტროლზე აიყვანონ ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება.
5. დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას, უზრუნველყოს ამ ბრძანების პროაქტიულად გამოქვეყნება.
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მამუკა პაპასკირს.
7. დაევალოს მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს უზრუნველყონ ამ ბრძანების გაცნობა მათი ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეებისათვის.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ფოთი, აღმაშენებლის ქ. N 3).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია